შპს "ახალი ჯგუფი"

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში **2020** წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... **Error! Bookmark not defined.**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. ძირითადი საშუალებები 13
5. გაცემული სესხები 14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14
7. ფული დ აფულის ექვივალენტები 15
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 15
9. შემოსავალი 16
10. რეალიზაციის თვითღირებულება 16
11. ადმინისტრაციული ხარჯები 16
12. ფინანსური რისკების მართვა 16
13. პირობითი ვალდებულებები 17
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 18
15. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები 19

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ახალი ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2021წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022წლის 1 აგვისტოს.

თენგიზ თედორაძე

დირექტორი ----------

2022 წლის 1 აგვისტო

საქართველო, თბილისი

ქეთევან ხაინდრავა

მთავარი ბუღალტერი ----------

2022 წლის1 აგვისტო

საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1,791,700	427,312
გაცემული სესხები	5	128,460	108,460
სულგრძელვადიანი აქტივები		**1,920,160**	**535,772**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები		174,725	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,285,670	381,135
გადახდილი ავანსები		3,000	3,000
ფული და ფულის ექვივალენტები	7	208,276	405,870
სულ მიმდინარე აქტივები		**1,671,671**	**790,005**
სულ აქტივები		**3,591,831**	**1,325,777**
კაპიტალი			
საწესდებოკაპიტალი	8	-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,368,455	1,171,757
სულ აქციონერთა კაპიტალი		**2,368,455**	**1,171,757**
მიმდინარე ვალდებულებები:			
სესხები	9	410,429	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	703,032	65,918
საგადასახადო ვალდებულებები		109,915	88,102
სულ ვალდებულებები		**1,223,376**	**154,020**
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		**3,591,831**	**1,325,777**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022წლის 1 აგვისტოს.

თენგიზ თედორაძე
დირექტორი ----------
2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

ქეთევან ხაინდრავა
მთავარი ბუღალტერი ----------
2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	შენიშვნა	2 021	2 020
შემოსავალი	11	9,768,022	6,368,807
მიწოდებული სერვისის თვითღირებულება	12	(8,068,419)	(4,832,861)
მთლიანიმოგება		**1,699,603**	**1,535,945**
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(304,023)	(344,563)
საპროცენტო შემოსავლები		20,000	-
საპროცენტო ხარჯები		(18,213)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი წმინდა		(132,558)	9,513
მოგება გადასახადამდე		**1,264,809**	**1,200,895**
მოგების გადასახადი		(10,217)	(133,746)
მოგება წლის განმავლობაში		**1,254,592**	**1,067,149**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**1,254,592**	**1,067,149**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის1 აგვისტოს.

თენგიზ თედორაძე
დირექტორი ----------

ქეთევან ხაინდრავა
მთავარი ბუღალტერი ----------

2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი1 იანვარი 2020 წელი		-	**862,503**	**862,503**
სულ წლის სრული შემოსავალი			1,067,149	1,067,149
გადახდილი დივიდენდები			(757,895)	(757,895)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020		-	**1,171,757**	**1,171,757**
სულ წლის სრული შემოსავალი			1,254,592	1,254,592
გადახდილი დივიდენდები			(57,894)	(57,894)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021		-	**2,368,455**	**2,368,455**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022წლის 1 აგვისტოს.

თენგიზ თედორაძე
დირექტორი _____
2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

ქეთევან ხაინდრავა
მთავარი ბუღალტერი _____
2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

7-20გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე:	**1,254,592**	**1,067,149**
არაფულადი კორექტირებები:		
მოგების გადასახადი	10,217	133,746
ცვეთა და ამორტიზაცია	202,866	55,777
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	-	(3,623)
საპროცენტო შემოსავალი	(20,000)	-
საპროცენტო ხარჯი	18,213	-
საკურსო მოგება	-	-
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	**1,465,888**	**1,253,049**
მარაგების ზრდა	(174,725)	-
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/(კლება)	(904,534)	371,704
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა	-	(3,000)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(კლება)	21,813	(105,882)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება/(ზრდა)	637,114	(388,875)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,045,556**	**1,126,996**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(1,567,254)	(249,273)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	28,051
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(1,567,254)**	**221,222**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი მოგების გადასახადი	(10,217)	-
გადახდილი პროცენტები	(18,213)	-
მიღებული პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(57,895)	(757,895)
სესხების მიღება	440,000	-
სესხების გადახდა	(29,571)	-
სესხების გაცემა	-	91,540
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**324,104**	**666,355**
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება	(197,594)	239,420
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	405,870	166,449
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	1
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**208,276**	**405,870**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022წლის 1 აგვისტოს.

თენგიზ თედორაძე
დირექტორი ----------

2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

ქეთევან ხაინდრავა
მთავარი ბუღალტერი ----------

2022 წლის 1 აგვისტო
საქართველო, თბილისი

7-20 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი ჯგუფი“ დაფუძნებულია 2015 წლის2 აპრილსდა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 406143757.

2021და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი თენგიზ თედორაძე (პ/ნ 12001068455).

შპს „ახალი ჯგუფის“ იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ.თბილისი, კრწანისის რაიონი, ორთაჭალის ქ., №77, ბ 44. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და საქმიანობის სფეროა გზების მშენებლობა და რემონტი. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი თენგიზ თედორაძე (პ/ნ12001068455).

კომპანიაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 52 და 36 თანამშრომელი. 2021 და 2020 წლების განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 46 და 37 თანამშრომელს, შესაბამისად.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემულიმცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, კომპანია მომავალი საანგარიშო პერიოდიდან სრულად გადავიდეს მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლებისანგარიშში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს,რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მოწყობილოებები და დანადგარები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	5-15

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელიგამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

2.4 მოგების გადასახადი

2017წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა დ აგაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.
მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა,რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, რომლებიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში (გზების მშენებლობა და რემონტი) და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

2.6მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება მიწოდებული საქონლის შესაბამისად მისაღები თანხებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს ქვეკონტრაქორი კომპანიებისათვის გადახდილი თანხები.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც აგრეთვე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება.დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.კომპანიის 2021 და 2020 წლების განმავლობაში გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 57,895 და 757,895 ლარს, შესაბამისად.

2.10 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

2.11 სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

2.12 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების

რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს იმპორტით შემოტანილი პროდუქციის თვითღირებულება, რომელსაც ემატება საბაჟო და ტრანსპორტირების ხარჯები. კომპანიას აგრეთვე გააჩნია ადგილობრივი შესყიდვები, რომლის თვითღირებულებაც გაიანგარიშება მიღებული ზედნედების და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. გარდა ამისა პროდუქციის თვითღირებულებაში შედის ყველა ტიპის ხარჯი რომლის პირდაპირ მიკუთვნება შეიძლება პროდუქციის დასაწყობებემდე.

2.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობსსაწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.(თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

2.15საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადისააღრიცხვოშეფასებებიდაგადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4. ძირითადისაშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 და 2020წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	მოწყობილოებებიდადანადგარები	სატრანსპორტოსაშუალებები	სხვაძირითადისაშუალებები	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**75,153**	**228,803**	**35,560**	**339,516**
დამატება	91,191	136,120	21,962	**249,273**
გასვლა	-	(36,762)	-	**(36,762)**
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**166,343**	**328,161**	**57,522**	**552,027**
დამატება	82,706	1,460,472	24,076	**1,567,254**
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**249,049**	**1,788,633**	**81,598**	**2,119,2**

				80
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	**33,974**	**36,718**	**10,579**	**81,272**
წლის დარიცხვა	17,626	29,403	8,749	55,777
გასვლა	-	(12,334)	-	(12,334)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2020	**51,600**	**53,787**	**19,328**	**124,715**
წლის დარიცხვა	30,059	159,167	13,640	202,866
გასვლა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	**81,659**	**212,954**	**32,968**	**327,581**
წმინდა საბალანსო ღირებულებები				
2019 წლის 31 დეკემბერი	**41,179**	**192,085**	**24,980**	**258,244**
2020 წლის 31 დეკემბერი	**114,743**	**274,374**	**38,194**	**427,312**
2021 წლის 31 დეკემბერი	**167,390**	**1,575,680**	**48,630**	**1,791,700**

კომპანიის მიერ გამოყენებული და სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენდა ნულლარსსამივე წლისათვის.

5. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები შედგება შპს დელუქს თიმ ჯორჯიაზე 2019 წლის 3 დეკემბერს 120 თვის ვადით გაცემული სესხისგან. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურად 20%-ს.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2021	**31 დეკემბერი 2020**
სავაჭრომოთხოვნები	1,285,670	381,136
სულსავაჭროდასხვამოთხოვნები	**1,285,670**	**381,136**
მოსალოდნელისაკრედიტოდანაკარგი	-	-
სულსავაჭროდასხვამოთხოვნები, წმინდა	**1,285,670**	**381,136**

7. ფული დ აფულის ექვივალენტები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისმდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდიფული სალაროში	6,617	84,574
ფულიბანკში	201,659	321,296
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**208,276**	**405,870**

8. საწესდებო კაპიტალი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 0 ლარს.

2021და 2020 წლების განმავლობაში კომპანიამ გამოაცხდა 57,895 ლარის და 757,895 შესაბამისად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი იყო თენგიზ თედორაძე 100%-იანი წილით.

9. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2021 წლის ბოლოსთვის 410,429 ლარის ოდენობით, მოიცავს სს თიბისი ბანკისში გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში მიღებული თანხებისგან.

10. სავაჭროდასხვავალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	559,128	65,567
თანამშრომელთა წინაშე ვალდებულებები	143,904	351
სულ	**703,032**	**65,918**

11. შემოსავალი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის შემოსავალი სრულად შედგება გაწეული სამშენებლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისგან.

12. რეალიზაციისთვითღირებულება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2021	2020
მასალებისხარჯი	3,626,048	1,777,120
მიღებულიმომსახურება	2,751,132	2,293,769
შრომისანაზღაურება	1,488,373	706,195
ცვეთადაამორტიზაცია	202,866	55,777
სულ თვითღირებულება	**8,068,419**	**4,832,861**

13. ადმინისტრაციულიხარჯები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2021	2020
შრომისანაზღაურება	208,982	256,268
საგადასახადოხარჯი	46,131	17,551
საკონსულტაციოხარჯი	21,969	-
დაზღვევისხარჯი	13,413	-
საბანკოხარჯი	5,313	3,663
რემონტისხარჯი	-	17,780
ტრანსპორტრებისხარჯი	-	18,677
იჯარისხარჯი	-	3,678
უიმედოვალებისხარჯი	-	19,045
სხვაადმინისტრაციულიხარჯი	8,215	7,901
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**304,023**	**344,563**

14. ფინანსურირისკებისმართვა

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,285,670	381,136
ფული და ფულის ეკვივალენტები	208,276	405,870
სულ საკრედიტო რისკი	**1,493,946**	**421,723**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

15. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

16. გარიგებებიდაკავშირებულმხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება არადაკავშირებულ პირებთან.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის ჰქონდა შემდეგი გარიგებები და ბალანსები:

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	მენეჯმენტი	საეთომფლობელობაშიმყოფიკომპანია	ჯამი
შრომისანაზღაურება	93,159	-	**93,159**
მომსახურებისშეძენა	-	966,292	**966,292**
გადახდილიავანსები	-	-	-

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	მენეჯმენტი	საეთომფლობელობაშიმყოფიკომპანია	ჯამი
შრომისანაზღაურება	169,643	-	**169,643**
მომსახურებისშეძენა	-	1,359,135	**1,359,135**
გადახდილიავანსები	-	-	-

კომპანიის მფლობელი იმავდროულადა წარმოადგენს უმაღლეს მენეჯმენტს.

17. ბალანსისშედგენისშემდგომიმოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.